ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

21 (9961) • 11 ivnisi • 2012 w.

ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

არის ეს უმიზნოდ გახარჯული თანხა და ენერგია?

გაზეთი „ალიონი“

ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ოზურგეთის №60 საარჩევნო ადმინისტრაციის ხელმძღვანელები პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს შეხვდნენ. ამ შეხვედრას ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენელი მანუჩარ გამყრელიძე ესწრებოდა. უპირველესად ის მინდა ვთქვათ, რომ ამ შეხვედრაზე პოლიტიკური პარტიებიდან რიცხობრივად „ქართული ოცნება“იყო წარმოდგენილი და აქტიურობდნენ კიდეც. რაც შეეხება დარბაზში მყოფ სხვა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს, ისინი უფრო შეხვედრის „ფონის შესაქმნელად“ იყვნენ მიწვეულნი და ერთსაათიანი კითხვა-პასუხის პროცესში ჩართვის სურვილი საერთოდ არ გასჩენიათ.

თავდაპირველად ოზურგეთის №60 საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მალხაზ თენიეშვილმა აღნიშნა, რომ კომისია მალე ახალ ოფისში გადავა და მორიგი შეხვედრები იქ გაიმართება.

ამომრჩეველთა სიების დაზუსტების კომისიის კოორდინატორმა მანანა სალუქვაძემ აღნიშნა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 95 უბნადაა დაყოფილი, სადაც 190 რეგისტრატორი მუშაობს. რეგისტრატორებმა უმეტეს უბნებში დაასრულეს მოსახლეობის გამოკითხვა, მაგრამ ამ სიების დამუშავების თავდაპირველი გეგმა შეიცვალა და ამომრჩეველთა სიები ადგილზე აღარ დამუშავდება. იგი ცენტრალურ ოფისში გაიგზავნება.

ქალბატონმა მანანამ გულწრფელად აღნიშნა, რომ ძალიან გაღიზიანებულია ხალხი და რეგისტრატორებს უწევდათ პასუხის გაცემა კითხვებზე: თუ ვინ და ვისი წარმომადგენლები არიან.

ამ სიტყვებს მოჰყვა დარბაზიდან რეპლიკა, რომ მოსახლეობა 10-კაციანი სიების შემდგენებლებისაგან არიან გაღიზიანებულიო...

„თავისუფალი დემოკრატების“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე თემურ სალუქვაძის შეკითხვას, თუ რატომ წავიდა სიები თბილისში, მანანა სალუქვაძემ ვერაფერი უპასუხა.

შეკითხვაზე, თუ ვინ არიან აღმწერები, მანანა სალუქვაძემ აღნიშნა, რომ 190 რეგისტრატორიდან 46 პროცენტს ქრისტიან-დემოკრატები, მემარჯვენეები და „ნაციონალები“ შეადგენენ, 19 პროცენტს ედპ და მრეწველები, 2 პროცენტს თორთლაძის პარტია და ა.შ.

რესპუბლიკელმა მარინა სუნგულიამ შესწორებული სიების შესახებ დასვა კითხვა და გაკვირვება გამოხატა იმით, რომ დასრულებული უბნების მიხედვით სხვაობა უმნიშვნელოა და ოზურგეთში კვლავ დაახლოებით 64 ათას ამომრჩეველი ირიცხება...

„ქართული ოცნების“ ოზურგეთის ორგანიზაციის წარმომადგენლის ბესო მელუას თქმით, სოფ. მზიანში, სადაც ახლა 200 კომლიღა დარჩა, გაბერილია საარჩევნო სიები, ხოლო თემურ სალუქვაძის შეფასებით ამ საქმეზე ძალიან დიდი ფინანსური და ადამიანური რესურსი დაიხარჯა. ეს არის უმიზნოდ გახარჯული ენერგია და თანხა. არაა შესწავლილი მიგრაციის რა ხარისხია ოზურგეთში, მოსახლეობას არ მისცეს სამართლიანობის განცდა.

საბოლოოდ მალხაზ თენიეშვილმა დასმულ კითხვებს ასე გასცა პასუხი:–როცა არჩევნები ოფიციალურად დაინიშნება, იქნება ახალი სიები, შეიძლება ამ სიების უარყოფით მხარეებზე ვისაუბროთ.

ქრისტიან-დემოკრატების „სიმართლის მანიფესტი“

გაზეთი „ალიონი“

გუშინ, 10 ივნისს, ქ. თბილისში, საქართველოს ქრისტიან -დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ, სხვა ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან ერთად რუსთაველის პროსპექტზე მშვიდობიანი მსვლელობა გამართეს და მათ მირ შედგენილი „სიმართლის მანიფესტი“ გავრცელეს.

„დღეს საქართველოში შექმნილია იმგვარი ვითარება, როდესაც ადამიანთა მცირე ჯგუფი ცდილობს პროპაგანდა გაუწიოს და საზოგადოებს თავს მოახვიოს მისთვის მოულებელი იდეები და უბიძგოს მას, გაიზიაროს ის შეხედულებები, რომლებიც შეიძლება არ იყოს ამ საზოგადოებისათვის მისაღები.

შექმნილ ვითარებაში აუცილებელია ქართველმა ახალგაზრდებმა დაფიქსირონ საკუთარი პოზიცია და გამოხატონ აზრი თუ რომელ ღირებულებათა სისტემას და რა პრინციპებს თვლიან უპირატესად! –ნათქვამია მანიფესტში.

ჰილარი კლინტონი დემოკრატიასა და მომავალ არჩევნებზე

საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარების ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორად აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ასახელებს „დემოკრატიის ხარისხს", რაც, თავის მხრივ, მომავალი არჩევნების ხარისხზეა დამოკიდებული. 5 ივნისს ბათუმში მყოფმა ჰილარი კლინტონმა აღნიშნა ისიც, რომ „თავისუფალი და სამართლიანი" არჩევნების ჩატარება მნიშვნელობით ბევრად აღემატება რუსეთის მიერ დაგეგმილ სამხედრო წვრთნებს. რაზეა დამოკიდებული არჩევნების წარმატება და რა დახმარებას ჰპირდება ამ კუთხით შეერთებული შტატები საქართველოს?

შეიძლება ითქვას, რომ 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები 5 ივნისს ბათუმში გამართული შეხვედრებისა თუ გამოსვლების უმთავრეს აქცენტს წარმოადგენდა. უდავოა, რომ შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი მომავალ არჩევნებს განიხილავს ერთადერთ საუკეთესო საშუალებად, რომელსაც შეუძლია გააღრმავოს დემოკრატია საქართველოში, განამტკიცოს ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტი და ხელი შეუწყოს ქვეყნის უსაფრთხოებას. და როდესაც წამოიჭრება საკითხი საქართველოში არსებულ შიშზე, რომ რუსეთი, რომელიც საქართველოს საზღვრებთან ახლოს სწორედ შემოდგომაზე გეგმავს მასშტაბურ სამხედრო წვრთნებს "კავკასია 2012"-ს, შესაძლოა შემოიჭრას ჩვენს ქვეყანაში, ჰილარი კლინტონი პასუხობს, რომ საქართველომ და ქართველმა ხალხმა შემოდგომაზე მათთვის უფრო მნიშვნელოვანი საქმე უნდა გააკეთონ:

„დიახ, იქნება სამხედრო მანევრები, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები შემოდგომაზე საქართველოს შიგნით მოხდება, როდესაც ქართველი ხალხი არჩევნებზე მისცემს ხმას. ვერ მოვიფიქრებ უფრო ძლიერ მესიჯს, რომელიც ვინმეს შეიძლება გაეგზავნოს მსოფლიოში. ჩვენ განვაგრძობთ მჭიდრო კონსულტაციებს საქართველოს მთავრობასთან იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჩვენ თქვენს გვერდით ვართ; მაგრამ ყველაზე გადამწყვეტი მოვლენა არის არა სხვა ქვეყნის სამხედრო წვრთნები, არამედ საქართველოს არჩევნები."

ეს განმარტება შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ბათუმში 5 ივნისის საღამოს გამართულ შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე გააკეთა, ხოლო დილით, როცა სიტყვით გამოდიოდა სტრატეგიული პარტნიორობის კომისიის პლენარულ სხდომაზე, მან მოუწოდა „საქართველოს ლიდერებს", რომ **„უზრუნველყონ კონკურენტუნარიანი კამპანია, რათა არჩევნები იყოს თავისუფალი და სამართლიანი როგორც უშუალოდ არჩევნების დღეს, ასევე მანამდე დარჩენილი თვეების განმავლობაში"**. დემოკრატიული არჩევნების ჩატარების მიზანთან მიმართებით ასევე გაისმა დაპირება გრძელვადიანი მეთვალყურეების გამოგზავნასთან დაკავშირებით, რამაც კმაყოფილი დატოვა საქართველოს პრეზიდენტი. ჟურნალისტებთან საუბრისას მიხეილ სააკაშვილი „ნამდვილი" და „ყალბი" დამკვირვებლების არსებობაზეც ლაპარაკობს:

„ნათლად ითქვა, რომ მაქსიმალური რაოდენობის ნამდვილ დამკვირვებლებს გამოაგზავნიან - არა ყალბ დამკვირვებლებს, ვითომ დამკვირვებლებს, რომლებიც შეიძლება სხვადასხვა სფეროდან ჩამოვიდნენ, არამედ ნამდვილ დამკვირვებლებს... მე ვფიქრობ, კონგრესმენები, სენატორები ჩამოვლენ, ევროპარლამენტის წევრები ჩამოვლენ, ე.ი. ის ხალხი, ვისაც ვერ მოისყიდიან, ვისაც ვერ დააშანტაჟებენ და ვინც მართლა იტყვის, რომ საქართველოში ჩატარდა - როგორც ჩვენ ვგეგმავთ და იმედია, რომ ზუსტად ასე ჩატარდება - სამართლიანი, გამჭვირვალე და ყველასთვის მისაღები არჩევნები... და არ მისცემს საშუალებას ჩვენი შიდა სიტუაციის მანიპულაციის გარედან მსურველს, რომ გამოიყენოს სხვადასხვა პროვოკაციები იმისათვის, რომ საქართველო ააცდინოს სწორ გზას."

თუ როდის და რა ფორმატში ჩამოვლენ შეერთებული შტატების მიერ გამოგზავნილი გრძელვადიანი მეთვალყურეები საქართველოში, ზუსტად არ იცის არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების" აღმასრულებელმა დირექტორმა ნინო ლომჯარიამ. თუმცა მან ზუსტად იცის, რომ მეთვალყურეებს საკმაოდ ბევრი სამუშაო ექნებათ იმ პრობლემების აღმოსაჩენად, რამაც შესაძლოა შეუშალოს ხელი დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას და რაზეც გამუდმებით საუბრობენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები:

„ზეწოლას აქვს თუ არა ადგილი განსაკუთრებით რეგიონებში, ხომ არ არის პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევები, ხომ არ ხდება ადმინისტრაციული რესურსის (ბოროტად) გამოყენება, ხომ არ აქვს ადგილი

გვ-2

7 დღის ამინდის პროგნოზი

11 ივნისი ორშაბათი	12 ივნისი სამშაბათი	13 ივნისი ოთხშაბათი	14 ივნისი ხუთშაბათი	15 ივნისი პარასკევი	16 ივნისი შაბათი	17 ივნისი კვირა
მზე +18+28	მზე +21+32	მზე +20+29	მზე +21+29	მზე, ღრუბელი +23+31	მზე, ღრუბელი +21+30	მზე, ღრუბელი +20+30

ჰილარი კლინტონი დემოკრატიასა და მომავალ არჩევნებზე

ამომრჩევლის მოსყიდვას და უკანონო დაპირებებს, რამდენად თანაბარი გარემოა პარტიებისთვის - იმავე შეხვედრების ორგანიზებაში ხომ არ ეშლებათ ხელი, რამდენად თავისუფალ გარემოში მიმდინარეობს ამომრჩევლებთან შეხვედრა და, კიდევ, მედიაგარემოს მონიტორინგი იქნება მეტად მნიშვნელოვანი - რამდენად თანაბარი გაშუქება და ხელმისაწვდომობა აქვთ პოლიტიკურ ძალებს."

არასამთავრობო სექტორისა და ხელისუფლების მსგავსად, შეერთებული შტატების მხარდაჭერას და ჰილარი კლინტონის მიერ ბათუმში გახმიანებულ მესიჯებს მიესალმებიან ოპოზიციური პოლიტიკური ძალებიც. როგორც პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე მანანა კობახიძე ეუბნება რადიო „თავისუფლებას", შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა საქართველოს ხელისუფლებას კონკრეტული ვალდებულება შეახსენა:

„ვფიქრობ, მესიჯი მკაფიო იყო, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს: ეს არჩევნები უნდა იყოს დემოკრატიული, თანასწორი და უნდა მოხდეს ხელისუფლების დემოკრატიული ცვლა."

ტერმინი „ძალაუფლების გადაცემა", რაც ბევრისთვის საქართველოში ხელისუფლების „შეცვლასთან" იგივდება, ჰილარი კლინტონმა ბათუმში ყოფნის დროსაც არაერთხელ ახსენა. და ასე იყო 5 ივნისს გამართულ შემაჯამებელ პრესკონფერენციაზეც, სადაც მან გამოთქვა იმედი, რომ შემოდგომაზე ჩატარებული „თავისუფალ და სამართლიანი არჩევნების" შემდეგ საქართველო „დაასრულებს ძალაუფლების დემოკრატიულ გადაცემას 2013 წელს."

„ძალაუფლების გადაცემა", ანუ ის, რასაც ოპონენტები "ხელისუფლების შეცვლასთან" აიგივებენ, პრეზიდენტ სააკაშვილის თქმით, უკვე მიმდინარეობს საქართველოში. მიმდინარე პროცესის მაგალითად 5 ივნისს გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე მან დაასახელა ცენტრალური ხელისუფლების და პრეზიდენტის ძალაუფლებათა ნაწილის გადაცემა ორი წლის წინათ პირდაპირი წესით არჩეული თბილისის მერისთვის და ამავე წესით არჩეული საკრებულოებისთვის. პრეზიდენტი სააკაშვილი ამბობს, რომ "დეცენტრალიზაციაც" ამ პროცესის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და იქვე მას პარლამენტის თბილისიდან ქუთაისში გადატანის მაგალითიც მოჰყავს.

თუმცა პრეზიდენტის ამგვარ ლოგიკას არ იზიარებენ ოპონენტები. მათთვის ცხადია, რომ "ძალაუფლების გადაცემაზე" შეერთებული შტატები უკვე საკმაოდ დიდი ხანია მომავალი არჩევნების კონტექსტში ლაპარაკობს.

რადიო „თავისუფლება"

„ნიკოტინის კვირეული"

მარი კოძოევი

„ნიკოტინის კვირეულის"ბოლო დღეს, 6 ივნისს, ოზურგეთის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები საქართველოს დემოკრატიული ჩართულობის დარბაზში შეიკრიბნენ და ნიკოტინის და მის მოხმარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ისაუბრეს.

მოსწავლეებს სამი სტუმარი ჰყავდათ მოწვეული.

რა გავლენას ახდენს ნიკოტინი ჯანმრთელობაზე, ამაზე ოზურგეთის ბავშვთა სამკურნალო ცენტრის დირექტორმა დავით მდინარაძემ ისაუბრა., ხოლო სამართლებრივ საკითხებზე იურისტებმა მაია ოთხმეზურმა და ირმა სიორიძემ.

შეხვედრის მონაწილე ბავშვები იმ კლუბის წევრები არიან, რომლებიც სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა სკოლებში ჩამოყალიბდა.

აღნიშნული პროექტი გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის მეშვეობით ხორციელდება და იგი 31 მაისიდან 6 ივნისამდე გრძელდებოდა.

კიდევ სხვა ათასები

ჩვენი ოზურგეთის ყველაზე სტაჟიან პერიოდულ გამოცემას, გაზეთ „ალიონს"აღსანიშნავი მიზეზი მიუახლოვდა. ამოვა მისი მე-10000 ნომერი. გაზეთმა, რომელიც დასაწყისიდან, პირდაპირ ვიტყვი, შემზარავი სახელით გამოდიოდა. გამოიარა უმძიმესი გზა—ბოლშევიკურ-საბჭოური ოკუპაციიდან დღევანდელობამდე; როცა აგერ უკვე მეოთხედი საუკუნეა თავისუფლების ძიებასა და ამ გზაზე ფონს გასვლისათვის შრომობს და გმირულად იღვწის ქართველი ერი. და სწორედ ეს მეოთხედი საუკუნეა, „ალიონი" მხარში უდგას მებრძოლ საზოგადოებას, გააღწიოს ნანატრ მიზნამდე — „ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნეს!"

ეს მუხლჩაუხრელი და გაუტეხავი სული მისდევს ჩვენს იუბილარ გაზეთს მთელი ამ ხნის მანძილზე. გადაცდომისთვის კი მრავალი ხაფანგი არსებობდა; განა ცოტა ვიცით „კუჭის ამოყორისათვის" აზროვნების ორბიტას მოწყვეტილი ჟურნალისტ-ლიტერატორები?! „ალიონი" ამგვარი კურმუხეთიდან შორს იჭერს. პირიქით, იგი მეტად მარჯვედ ახერხებს, პატივი მიაგოს ჩვენს უკუნეთ წარსულში გამოვლილ ადამიანებს, რომლებმაც მოახერხეს, მართალია, მატერიალურად დახუნძლულ, მაგრამ ბოროტების ეპოქაში უმწიკვლო ცხოვრება და კვლავაც „ალიონს" შენატრიან. დღეს ეს, როგორც ვაკვირდებით, მეტად საძნელო გამხდარა. არც არის გასაკვირი — სათნოებისა და თავისუფლების შენებაში მავანთ მუხლი უმტყუნებს ხოლმე, მაგრამ ამან არ უნდა გატეხოს წინმავალნი.

ამ საშური ბრძოლისათვის შემართულს ვხედავდით ნუგზარ ასათიანს, რომელმაც დოტაციებისა და საკმარისი ყურადღების გარეშე შეატოვეს ეს დაუფასებელი საქმე. იგი კი არასოდეს შემცბარა და, მის თანამოაზრეებთან ერთად, ახერხებს არ ჩააქროს ის კერა, რასაც საგაზეთო საქმე ჰქვია.

ბატონო ნუგზარ, ამ მოკლე სიტყვით მიიღეთ თქვენ და „ალიონის" ჟურნალისტებმა ჩვენი გულითადი მილოცვა იმ კეთილი მოღვაწეობისათვის, ასე უშურველად რომ იქმთ ოზურგეთის საზოგადოებისათვის.

ლიხაურის ექვთიმე თაყაიშვილის მუზეუმის თანამშრომელთა და მზრუნველთა საბჭოს სახელით,

რუსლან ურუშაძე.

ფეხბურთის მოყვარულთათვის!

ფეხბურთის მოყვარულებს ევრო-2012 წლის მატჩების ნახვა შეუძლიათ ქ. ოზურგეთის კინოთეატრის წინ დამონტაჟებულ დიდ ეკრანზე, სადაც ჩემპიონატის ყველა მატჩი იქნება ნაჩვენები.

ლია საკლუბო ჩემპიონატი

1-8 ივნისს, ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში ჩატარდა ღია საკლუბო ჩემპიონატი ჭადრაკში, რომელიც ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს—1 ივისს მიეძღვნა. მასში უმცროსი ასაკის 15 დამწყები მოჭადრაკე მონაწილეობდა. ჩემპიონატი მიზნად მათ სატურნირო და სათამაშო უნარ-ჩვევების გამომუშავებას ისახავდა მიზნად. შეჯიბრებამ, რომელიც წრიული სისტემით ჩატარდა, გაამართლა მოლოდინი— ბავშვებმა სათანადო დონეზე განვლეს სატურნირო მარათონი და კარგი სათამაშო პრაქტიკა მიიღეს. მასში არაერთი იმედის მომცემი მოჭადრაკე გამოვლინდა, რომლებმაც კარგი სათამაშო დონე აჩვენს.

ჩემპიონობა 13 ქულით (14 შესაძლებლობიდან) მოიპოვა ქვ. ნატანებელმა, 10 წლის სერგო თოიძემ. ვიცე-ჩემპიონობის ბედი ბოლო ტურში გადაწყდა, რომელიც მარი ჩხარტიშვილმა ელენე გოგიჩოვასთან პრინციპული პარტიის მოგებით, 11 ქულის დაგროვებით დაისაკუთრა. III ადგილი 10,5 ქულით მამუკა გოთუამ მოიპოვა. IV საპატიო ადგილი ნატანებელმა გურამ ფარულავამ აიღო.

გამარჯვებულები სპეციალური თასით, დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდა. დიპლომები ყველა მონაწილეს გადაეცა, მათ შორის საჩუქრები გადაეცა ორ ყველაზე პატარა მონაწილეს— 6 წლის მარი ღლონტს და ლაზარე შანიძეს.

გურიის ჭადრაკის ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორის, ზურაბ ანდღულაძის თქმით, ჩემპიონატის I-IV ადგილოსნები მონაწილეობას მიიღებენ მოსწავლეთა შორის რაიონის 2012 წლის პირველობაზე.

ლამაზი ოჯახი

ოდითგანვე ქართულ ოჯახში ქალი, ყოველთვის თავისი ღირსებით, ხოლო კაცი თავისი ვაჟკაცობით ფასდება. ჯახი, ხომ ქართველი ერის თვითმყოფადობის, მისი ადათწესების შენარჩუნებისა და საერთოდ სდახელმწიფოს ძლიერების საფუძველია. შწორედ ასეთმა ოჯახებმა გადაარჩინეს საქართველო და დღემდე მოიყვანეს.

ვინც სოფ. ვაკიჯვარშიმცხოვრებ ბატონ ჯემალ ბოლქვაძის ოჯახს იცნობს, დამერწმუნება, რომ იგი ასეთი ოჯახების კატეგორიას განეკუთვნება. ბატონი ჯემალი მე მისი მამის, ჩემი უახლოესი მეგობრის, ცნობილი ექიმის , წლების მანძილზე ვაკიჯვრის საექიმო ამბულატორიის გამგის, აწ გარდაცვლილ, ბატონ მიხეილ ბოლქვაძის მეშვეობით გავიცანი და მალევე დავრწუმდი, რომ იგი და მისი მეუღლე, ქალბატონი თამარი სიკეთით, სითბოთი და სტუმართმოყვარეობით და შრომისმოყვარეობით გამორჩეული პიროვნებები არიან.

ქალბატონი თამარი სოფ. ფამფალეთიდანაა. საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მან თავისი ბედი ბატონ ჯემალ ბოლქვაძეს დაუკავშირა და ლამაზი ოჯახი შექმნეს. ისინი თავდადებული შრომით, მყარი და ლამაზი ოჯახით საზოგადოებაში თავისი ადგილი დაიმკვიდრეს. ალბატონი ტამარი 20-წელზე მეტ ხანს სოფელში შემნახველი ბანკის გამგე-კონტროლიორად მუშაობდა და კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას. ჯემალი კი,რომელიც პროფესიით ზოტექნიკოსია, დიდხანს ვაკიჯვის კოლმეურნეობის მთავრ ზოოტექნიკოსად მუშაობდა; შემდეგ ვაკიჯვრის საკალმახე მეურნეობის დირექტორის მოადგილე იყო და ყოველთვის კაცურად აკეთებდა მის საქმეს.

ეს ოჯახი დიდი სიყვარულით სარგებლობს სოფელში, ჭირსა და ლხინში გვერდში უდგას თანასოფლელებს. უაღრესად სტუმართმოყვარენი არიან და ამის განსაკუთრებული ნიჭი და უნარი აქვთ. ლამაზი ეზო-გარემო, საცხოვრებელი სახლი, სხვა სათავსოები, სხვადასხვა ჯიშის ვაზი, ხეხილი, მთის პირობებში მოვლილი და გახარებული მანდარინის პატარა ბაღი იმთავითვე იპყრობს გამვლელ-გამოვლელთა ყურადღებას. აქვეა სასიმინდე —სიმინდით სავსე, სარდაფი—საკარმიდამო ნაკვეთში დაკრეფილი და დაწურული ადესის ღვინით, ვაშლის, მსხლის, სუბტროპიკული ხურმის ჩირებით დამთავრებული.

ღირსეულმა მშობლებმა შვილებიც საამაყონი აღზარდეს. უფროსი შვილი მიხეილი იურისტია და მცირე საოჯახო ბიზნესითაა დაკავებული. ექიმია მეუღლე—ქალბატონი ხათუნა და ერთ-ერთ კლინიკაში მუშაობს ექიმ-კარდიოლოგად. ისინი დედაქალაქში ცხოვრობენ და ორი გოგონა ჰყავთ.

ქალიშვილი ქეთევანი ექიმია და ბათუმში ერთ-ერთ კლინიკაში მუშაობს ექიმ-თერაპევტად. მისი მეუღლე ირაკლი მახარაძე მცირე სამეწარმეო საქმიანობას ეწევა. ვაჟიშვილი თორნიკე—წარმატებით გამოდის ბათუმის მერიასთან არსებულ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში.

ნამდვილად საამაყო და ავტორიტეტული ოჯახია სოფ. ვაკიჯვარში ჯემალ ბოლქვაძის ოჯახი. ქალბატონი ტამარი—ღირსეული დედა, განუმეორებელი მეუღლე, ბრწყინვალე დიასახლისი და ქართველ ქალობის ეტალონია. ბატონი ჯემალი კი—ულამაზესი ოჯახის თავკაცი, ძმობის, მეგობრობის და სიყვარულისთვის დაბადებული.

ღმერთმა უმრავლოს ასეთი ოჯახები საქართველოს.

„თავისუფალი საქართველოს" თასზე

„თავისაუფალი საქართველოს" ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია ატარებს ტურნირს მინიფეხბურთში, სადაც ქალაქისა და სოფლების 16 გუნდი მიიღებს მონაწილეობას.

როგორც „თავისუფალი საქართველოს" გურიის ორგანიზაციის თავმჯდომარე მინდია კეჭაყმაძემ გვითხრა, ტურნირი ოზურგეთის სპორტის სასახლეში ოლიმპიური სისტემით ჩატარდება. იგი ერთ კვირას გაგრძელდება და გამარჯვებული გუნდი „თავისუფალი საქართველოს" თასი გადაეცემა.

ფუნჯის პატარა მსახურები

თემურ ბაქანიძე

2012 წლის 1 ივნისს, ქალაქ ოზურგეთის სამხატვრო სკოლაში, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ჩატარებულ ღონისძიებაზე, რომელიც ნორჩ მხატვართა გამოფენით დასრულდა, გამოვლენილი და დაჯილდოებული იქნა სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებული ბავშვები.

ეს ნომინაციებია:

საუკეთესო კომპოზიცია.

I ადგილი — მიხეილ თავბერიძე;
II ადგილი — გიორგი კონტრიძე;
III ადგილი — ბესარიონ ჩხაიძე.

საუკეთესო გრაფიკული ნამუშევარი.

I ადგილი — შუქრი არობელიძე;
II ადგილი — თამარ დუმბაძე;
III ადგილი — ანა ტრაპაიძე.

საუკეთესო ფერწერული ნამუშევარი.

I ადგილი — ეთუნა კონტრიძე;
II ადგილი — გიორგი სიხარულიძე;
III ადგილი — გიგი სიმონიშვილი.

საუკეთესო პლასტიური ნამუშევარი.

I ადგილი — სოფო გაგუა;
II ადგილი — ერეკლე გორდელაძე;
III ადგილი — ლაურა ქინქლაძე.

საუკეთესო დეკორატიული კომპოზიცია.

I ადგილი — ნინო გორდელაძე;
II ადგილი — ნანუ ღლონტი;
III ადგილი — ქეთევან გიორგაძე.

საუკეთესო დებიუტი
— ბექა ხინთიბიძე.
სკოლის საუკეთესო კურსდამთავრებული
— ქრისტინე მუჯირი.

ჩამოთვლილ გამარჯვებულთაგან, განსაკუთრებით აღსანიშნავია, ექვსი მათგანი, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ და წარმატებებს მიაღწიეს სხვადასხვა კონკურსებში, არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ეს ექვსეულია: **ეთუნა კონტრიძე, ნინო გორდელაძე, ქრისტინე მუჯირი, გიორგი რამიშვილი, ქეთი ბაჯელიძე და მიხეილ თავბერიძე.**

ჩამოთვლილთაგან პირველი ხუთეულის პედაგოგი არის — ბატონი ავთანდილ თავართქილაძე; მიხეილ თავბერიძის პედაგოგია — თამაზ დარჩია.

ამ ექვსეულს მიღებული აქვთ მონაწილეობა შიდა სასკოლო, რაიონულ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო გამოფენებსა და კონკურსებში...

არასამთავრობო ორგანიზაციების: ოზურგეთის პედაგოგთა კავშირის, ოზურგეთის სტუდენტურ ახალგაზრდული სათათბიროს „მზიანი ეზოს“, „ევრო კლუბის“ მიერ ჩატარებულ ღონისძიებებსა და კონკურსებში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მხარდასაჭერ აქციაში „მიიღე განსხვავებული“, მშვიდობისა და ადამიანის უფლებების დაცვის სამხრეთ კავკასიურ კინოფესტივალში „მე-ადამიანი“; პოლონეთის ტრაგედიის—„კაჩინსკის თემაზე მიძღვნილ გამოფენაში; აქციაში—„ჩვენ გვიყვარს იაპონია“.

სისტემატურად მონაწილეობდნენ ტრადიციულად გამართულ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ გამოფენაში — 1 ივნისს; 26 მაისს — საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში. (2011 წ.) მიიღეს მონაწილეობა ღონისძიებებში „ალეგრობა-ოზურგეთში“; გამოფენაში „ჩემი ქალაქი“.

მათი ნამუშევრები გაიგზავნა:

—რუმინეთში — ქ. ბუქარესტში გამართულ საერთაშორისო აქციაში ანტინარკოტიკულ თემაზე „გააცნობიერე და არ მოექცე მისი გავლენის ქვეშ“.(2010 წ.);

—ბელორუსიაში — ქ. მინსკში, ფერწერისა და გრაფიკის მე-5 საერთაშორისო გამოფენაში (2011 წ.);

—ქალაქ თბილისში — ელენე ახვლედიანის სახ. ბავშვთა ნამუშევრების გალერეაში, კონკურსისათვის- „შეინარჩუნე სუფთა გარემო“. (2011 წ.);

—ქ. ქუთაისში — ბავშვთა ნახატების გალერეა „ათინათში“, მუდმივმოქმედი გამოფენისთვის...(2011 წ.);

—ჩეხეთში — ქ. ლიდიცეში, სახვითი ხელოვნების მე-40 საერთაშორისო გამოფენისთვის - „ლიდიცე 2012“. (ეძღვნება ჩეხი ხელოვანის-ფერმწერის, მოქანდაკის, ჩეხეთის თოჯინური და ანიმაციური ხელოვნების ფუძემდებლის ირჟი ტრინკის 100 წლის იუბილეს);

—არასამთავრობო ორგანიზაცია „სოკო“, პროექტით-ქალბატონი სანდრა რულოვსის ინიციატივით, შეისწავლეს ინგლისური ენა. დაჯილდოვდნენ საქართველოს პირველი ლედის- სანდრა რულოვსის საავტორო წიგნით, სპეციალური სიგელითა და პრიზით;

—მიიღეს მონაწილეობა გურიის „პასქის ფესტივალში(2012 წ.);

—„დედამიწის საათი“(2012 წ.);

—აქციაში „შამანის აღლუმი“, ევროინტეგრაციის მხარდასაჭერად (2012 წ. 9 მაისი).

ცალკე აღსანიშნავია **ნინო გორდელაძის** გამარჯვება: EED- პროგრამის ფარგლებში, გურიის მოსწავლეთა რეგიონალური პარლამენტის პროექტში „ჩვენი უფლებები“. მისი ნამუშევარი დაიბეჭდა და დაიგზავნა ღია ბარათის სახით.

ასევე გვინდა ავღნიშნოთ **მიხეილ თავბერიძის** მიღწევა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ქ. თბილისში გამართულ „აირზენას“ კონკურსში „ავიატორი“ და სიგელით დაჯილდოვდა...ის, ასევე წარმატებით მონაწილეობს სპატრიარქოს მიერ ჩატარებულ კონკურსში, რომლის მსვლელობისას, წარმატებით გადავიდა მე-4 - ბოლო ტურში და იმედია იქაც წარმატებას მიაღწევს.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამხატვრო სკოლაში, სადაც ბავშვები წესით მხოლოდ „ფუნჯის ჯადოქრობით“ უნდა იყვნენ დაკავებულნი, ისეთი ატმოსფერო არის შექმნილი, რომ ბავშვებს საშუალება აქვთ, გამამჟღავნონ თავიანთი ნიჭი ხელოვნების სხვა მიმართულებითაც. ამაში კი, ძალიან დიდი ხელშეწყობა აქვთ სამხატვრო სკოლის, როგორც დირექტორისგან-ბატონ კახა ვასაძისან, ასევე მთელი პედაგოგიური კოლექტივისაგანც. ამის დამამტკიცებელი უდაო საბუთია, ამ სასწავლებელში „დაბადებული“ ბავშვების ოცნება, შეექმნათ თოჯინების თეატრი, რომელიც მოუწონა მათ ბატონმა კახამ და ყოველი ღონე იხმარა, ბავშვების ოცნება, რეალობად ქცეულიყო...

2012 წლის 1 ივნისს შეიქმნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლასთან და სტუდენტურ-ახალგაზრდულ სათათბიროსთან არსებული საბავშვო თოჯინური თეატრი **„მულტი-პულტი".**

<u>იდეის განხორციელებაში, სამხატვრო სკოლის დირექციასა და პატარებს დიდი დახმარება გაუწია სათათბიროს თავმჯდომარემ ბატონმა კახა ლომაძემ, პოლონელმა-აგატა ვესელოვსკამ სხვა პოლონელ მოხალისეებთან ერთად.</u>

1 ივნისს, ბავშვებმა გამარჯვების პარკში, წარმოდგენაც დადგეს, რომლის მაყურებელთა უმრავლესობას ქუჩაში მოსიარულე ოზურგეთლები წარმოადგენდნენ და დიდი მოწონებაც დაიმსახურეს. ეს ბავშვებია: **თამუნა და ეთუნა კონტრიძეები, ქეთი ბაჯელიძე, ქრისტინე მუჯირი, ნინო გორდელაძე და გიორგი რამიშვილი**.

იდეის ავტორი, რომ შეექმნათ საბავშვო თეატრი, ჩამოთვლილითაგან ყველაზე პატარა, 11 წლის **თამუნა კონტრიძეა.**

მიღწევები, რომელიც სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა აჩვენეს თავიანთ პედაგოგებთან ერთად ბოლო პერიოდში, ნამდვილად იმისი შედეგია, რომ ბატონი კახა და ქალბატონი მადონა(საქმეთა მმართველი) დაულალავ შრომას ეწევიან, რათა ფეხშეწყობით იაროს მომავალმა თაობამ წინ — აზრიანი და ნათელი მომავლისაკენ.

ჩოლოქის ბრძოლა

მიუხედავად მცირე ტერიტორიისა, ჭანიეთს მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა გურიის ისტორიაში, რადგან მას, საუკუნეების განმავლობაში უხდებოდა ოსმალთა მოსაზღვრეობა, რომელიც მუდამ იმის ცდაში იყო, მთლიანად დაეპყრო არა მარტო გურია (დროებით დაიპყრო კიდეც), არამედ გზა გაეკაფა უფრო დიდი ტერიტორიების დასაპყრობად. პლაცდარმი კი შეკვეთილიდან, თითქმის ჩოლოქის სათავემდე იყო და მათ შორის, ცხადია, ჭანიეთი მნიშვნელოვანი პუნქტი იყო საომარი მოქმედებისას.

„1854 წელს საბრძოლო შეტაკება, სწორედ, ჩოლოქზე ქაქუთის მიდამოებში მოხდა, როცა ერთმანეთს ოსმალთა კორპუსი სელიმ-ფაშას ხელმძღვანელობით და ქართველთა და რუსთა ლაშქარი გენერალ-ლეიტენანტ ივანე ანდრონიკაშვილის სარდლობით, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ამ ბრძოლაში ივანე ანდრონიკაშვილის მცირერიცხოვანმა ჯარმა გაიმარჯვა. მოშალა სელიმ-ფაშას კორპუსი და ისევ აღსდგა ამ უბანზე ჩვენი საზღვრების უშიშროება . (გ. დანელია, მაღლაკელიძე, „ბრძოლა ჩოლოქზე“, გაზეთი „სამხედრო“)

ჩოლოქის ბრძოლაში გამარჯვება ქართული სამხედრო ხელოვნების ზეიმი იყო, რომელმაც სამართლიანად მიიპყრო ისტორიკოსთა ყურადღება. ამ თემას საყურადღებო ნაშრომები მიუძღვნეს: აკადემიკოსმა მამია დუმბაძემ, („„გენერალი ივანე ანდრონიკაშვილი“, 1943 წ.); პროფესორმა ერმალო ბურჭულაძემ (ყირიმის ომი და საქართველო“, 1960 წ.); ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა შამშე მეგრელიძემ, („საქართველო აღმოსავლეთის ომებში“,1974წ.)

ჩოლოქის საარაკო ბრძოლის შესწავლას დიდი ღვაწლი დასდო პროფესორმა იური სიხარულიძემ. მან საყურადღებო ჩვენებები შეკრიბა არა მარტო ჩოლოქის მარცხენა მხარის სოფლებში (გაღმა ქაქუთი, სკურა, ჩაიხედენა, ჯიხანჯური, წყავროკა და სხვა), არამედ მდინარის მარჯვენა მხარის სოფლებშიც (გამოღმა ქაქუთი, ჭანიეთი, ვაშტიალი, ნარუჯა, ანასეული და ა.შ.). მანვე პირველმა მიაქცია ყურადღება ჭანიეთის ერთ-ერთი გორის სახელს („მუზარადი“) და ეს მხედრული საჭურველის აღმნიშვნელი ტერმინი, ჩოლოქის 1854 წლის ბრძოლისდროინდელად მიიჩნია.

„ბრძოლის ბედი — წერს ი. სიხარულიძე, თუმც ჩოლოქის გაღმა მხარეს გადაწყდა, მაგრამ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ მედგარ ბრძოლას, რაც ოსმალო ჯარების მოწინავე ნაწილებს „გურიის რაზმმა“ შეახვედრა ჭანიეთის მიდამოებში“ (ი. სიხარულიძე, ყირიმის ომის დროის გადმოცემები, 1950წ.). ამ ომზე საინტერესო სტატია დაიბეჭდა გაზეთ „ლენინის დროშაში“ სათაურით „ექნესა მოგონებანი“. წერილის ავტორი გახლდათ დამსახურებული ჟურნალისტი მამია კილაძე. ავტორი სამართლიანად აყენებს წინადადებას, ძეგლი აუგონ ჩოლოქის ომის გმირებს ჭანიეთში - ჩოლოქისპირს.

ოსმალური საფრთხე ჭანიეთსა და შუა გურიის სოფლებს (გამოღმა ქაქუთი, ვაშტიალი, ნიაბაური და სხვა) მაშინ დაუდგა, როდესაც მტრის ჯარის 34 ათასიანი სელიმ-ფაშას საუკეთესო მებრძოლებით დაკომპლექტებული კოროუსი მდინარე ჩოლოქს მოადგა. ამ დროს ახალციხე-გურიის რაზმის უფროსად დანიშნული იყო გენერალ-ლეიტენანტი ივანე ანდრონიკაშვილი, რომელიც მაშინვე გამოემგზავრა ოზურგეთში. მან გადაწყვიტა დაეტოვებინა ოზურგეთი და ოსმალები ქვეყნის შიგნით შეეტყუებინა. მართლაც, მან რიონისკენ დაიხია და მდინარის ორივე მხარეს, აკეთის სიმაღლეებთან გამაგრდა. ანდრონიკაშვილს 10 000 კორპუსი ჰყავდა, რომელსაც გურიის მილიცია ედგა მხარში.

სელიმ-ფაშა ერთხანს ვერ ბედავდა ოსმალ-საქართველოს მაშინდელი სასაზღვრო ზოლის-ჩოლოქის გადმოლახვას და საქრისტიანო გურიის აოხრებას. მაგრამ ანდრონიკაშვილის გადაწყვეტილებით გათამამებულმა გადმოლახა საზღვარი და ოზურგეთში დაბანაკდა. პირველი სოფელი, რომელსაც მტრის რისხვა დაატყდა თავს, გამოღმა ქაქუთი და ჭანიეთი გახლდათ — ჩოლოქის მარჯვენა სანაპირო. ხალხმა იარაღი აიღო ხელში და ახლომახლო ტყეებში გავარდნენ.

ოსმალებმა მოსახლეობის აწიოკებას და ძარცვა-გლეჯას მიჰყვეს ხელი. მათ ლაშქარში ინგლისელებიც იყვნენ, რომლებიც ხალხის გადაბირებას ცდილობდნენ, „მაგრამ გურულმა მოსახლეობამ მალაქია გურიელის მეთაურობით, რომლის რაზმი დღითიდღე იზრდებოდა, თურქების წინააღმდეგ ნამდვილი პარტიზანული ბრძოლა გააჩაღა, და მტერს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა“ („საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, გამ. „საბჭოთა საქართველო“, 1970 წ. გვ. 203). ცხადია ამ პარტიზანული მოძრაობის მონაწილენი ჭანიეთ-ქაქუთისა და ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებნი იყვნენ. მალე ოსმალთა 12 ათასიანმა რაზმმა სუფსა გადალახა და ლანჩხუთსაც გასცდა. რაზმი ძირითადად მოხალისეთაგან („ბაში-ბუზუკები“) შედგებოდა. რომელსაც ჰასან-ბეი თავდგირიძე მოუძღოდა. 1854 წლის 27 მაისს, ადრე დილით, მტრის ამ დანაყოფს უცაბედად თავს დაესხა რუს-ქართველთა ჯარის ერთი ნაწილი, რომელსაც პოდპოლკოვნიკი ნიკოლოზ ერისთავი მეთაურობდა. ოსმალები ინგლისური იარაღით იყვნენ შეიარაღებულნი. ქართველთა ლაშქარი კაჟიანი თოფებით. ცხადია ვერას გახდებოდნენ, ამიტომ ერისთავმა ჯარი ხელჩართულ ბრძოლაზე გადაიყვანა და გაიმარჯვა კიდეც. ამ ბრძოლაში დაიღუპა ქობულეთელი ხასან-ფაშა (თავდგირიძე), რომელმაც აუწერელი ზიანი მიაყენა გურიის ქრისტიანულ მოსახლეობას. ამის შემდეგ ანდრონიკაშვილის ლაშქარი ოზურგეთისკენ დაიძრა. შეშინებული სელიმ-ფაშა ჩოლოქს გაღმა გადავიდა და გაღმა ქაქუთის ტერიტორიაზე დაბანაკდა. ამ დროისათვის ანდრონიკაშვილის განკარგულებაში იყო 11 ბატალიონი. ქვეითი კაზაკთა ოთხი ასეული, გურიის ექვსი ქვეითი და იმერეთის მილიციის ექვსი ქვეითი რაზმი, ხუთი ცხენოსანი ასეული, რომლის უფროსი იყო მამაცობით განთქმული გიორგი ჯანდიერი. ხოლო ერთ-ერთ ასეულს ხელმძღვანელობდა სოლომინ I -ის თანამედ-

▶▶▶ 33-4

ჩოლოქის ბრძოლა

როვე ქაიხოსრო მიქელაძე, რომელიც ამ ომში გმირულად დაიღუპა.

ცხენოსანთა ლაშქარში იყო სიღნაღელები, თელაველები, თბილისელები და გორელები, თუშები და ფშავლები. აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს უძველესი გვარების თავადაზნაურთა წარმომადგენლები გიორგი ერისთავის ხელმძღვანელობით.

ანდრონიკაშვილმა გადაწყვიტა „სწრაფი და გაბედული“ იერიში მიეტანა მტერზე. 1854 წლის 4 ივნისს, გურიის რაზმმა პირველმა გადალახა ჩოლოქი და მტერს შეებრძოლა. ბრძოლის ავანგარდში იყო გურიის მილიცია მაჭავარიანის და თავდგირიძის მეთაურობით. მალე ბრძოლაში კავალერიაც ჩაება და მრავალრიცხოვანი მტერი დამარცხებული და განდევნილი იქნა. „სელიმფაშას ჯარების გზაბნეული ნაშთებიც ლელვას იქეთ გადაიკარგნენ.“

ჩოლოქის პლაცდარმთან ბრწყინვალე გამარჯვების გამო, კავკასიის არმიის მთავარსარდლის სახელზე გაგზავნილ წერილში გენერალ-ლეიტენანტი თავადი ანდრონიკაშვილი წერდა: „ქართლ-კახეთის, იმერეთის და გურიის მხედრები, ქვეითი და ცხენოსნები, რუს ჯარისკაცთა მწყობრის ღირსეული თანამოლაშქრენი იყვნენ. ისინი მოწინააღმდეგისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდნენ, არა მარტო მტრის უკან დახევის დროს, არამედ, თვით, გამარჯვების მოპოვებამდე“ (ერ. ბურჭულაძე, „ყირიმის ომი და საქართველო“, გვ. 28).

„ოსმალთ ფეხდაფეხ მისდევდნენ გამარჯვებით აღფრთოვანებული ანდრონიკაშვილის არწივები და ყოველმხ-რივ აღმატებულ მტერს (რიცხობრივად, შეიარაღებითაც) სძლიეს, რომლის ბადალი არც ისე ხშირია

საერთაშორისო ტურნირი ტაეკვან-დოში

ქ. თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი კონტაქტურ ტაეკვან-დოში, რომელშიც საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, ირანის და თურქეთის გუნდები იღებდნენ მონაწილეობასს სულ 150 სპორტსმენი.

ოზურგეთიდან ამ პრესტიჟულ ტურნირში 4 სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას: რამაზ კახაძე, შუქრი ჩხარტიშვილი, ჯემალ ბაუჟაძე და თემურ ღლონტი. აქედან სამმა მედალი მოიპოვა.

განსაკუთრებით კარგად იასპარეზა თემურ ღლონტმა (35-40 კგ.)რომელმაც სამი ბრძოლა მოუგო დამაჯერებლად სომეხ, აზერბაიჯანელ და ირანელ სპორტსმენებს. ბოლო ბრძოლაში ხელის ტრავმა მიიღო და ფინალური ბრძოლა ამ მიზეზით დათმო ქართველ სპორტსმენთან. მან II ადგილი დაიკავა.

შეჯიბრების ბოლოს საპატიო სიგელით დააჯილდოეს გინესის მსოფლიო ნრეკორდსმენი, ოსტატი, შავი ქამრის და I დანის მფლობელი ტაეკვანდო-დოში, ოზურგეთის სასპორტო სკოლის მწვრთნელი ირაკლი ტულუში, რომელიც ამჟამად ტაე-კვანდოში III დანის მისაღებ

ეთერი ზოშიტაიშვილის გახსენება

გარდაცვალების შემდეგ დღეები უცებ მიჰყვნენ ერთმანეთს... უკვე ერთი წელი გავიდა, რაც შენი შეჩვეული, მზრუნველი, თბილი ხელი დააკლდა შენს ოჯახს, დაკვაკლდა ჩვენ.

ლამაზი წლები შენს სილამაზეს შეჰფეროდა. ყოველ დილას შეხაროდი, რადგან სკოლაში წასვლა, ბავშვებთან ურთიერთობა, გაკვეთილი — ცხოვრების მიზნად გქონდა მიჩნეული. 1-ლი საჯარო (შენს დროს საშუალო) სკოლა შენი მოსწავლეობის კერაც იყო და პედაგოგიური მოღვაწეობის უცვლელი ალაგიც. იქ გეგულებოდა ნავსაყუდელი, როგორც ღირსეულ ქალბატონს, კარგ მათემატიკოსს, ღვაწლმოსილ და დაფასებულ პედაგოგს.

სამწუხაროდ ყველაფერს აქვს ბოლო!

შენს არისტოკრატიზმსა და სილამაზეს სიბერემ მაინც დააჩნია კვალი, მაგრამ მან ვერაფერი დააკლო შენს ბუნებას, სიმშვიდეს, კეთილზნეობას. ასეთად დარჩები მუდამ ჩვენს მეხსიერებაში.

მადლობით მივეახლებით შენს სახელს, შენს სულს. მადლობა ოჯახში გაწეული შრომისა და ამაგისათვის! უფალმა ნათლით შემოსოს შენი სული და დაგიმკვიდროს სასუფეველი ცათა.

ოჯახი

კახი ასათიანის სახელობის თასს დაეუფლა

ქ. თბილისში გუნდ „გოლეადორის“ ორგანიზებით ჩატარდა ცნობილი ქართველი ფეხბურთელის კახი ასათაიანის სახელობის ტურნირი 1999-2000 წლებში დაბადებულ ვაჟებს შორის, რომელშიც 8 ძლიერმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა.

ოზურგეთის სასპორტო სკოლის გუნდი წარმატებით გამოვიდა ამ ტურნირზე და ფინალში ტურნირის ორგანიზატორების გუნდ „გოლეადორს“ შეხვდა. ოზურგეთლებმა 2:1 დაამარცხეს მეტოქე და I ადგილი მოიპოვეს. (მწვრთნელი გოჩა კრასოტკინი)

სასპორტო სკოლის ღია პირველობაზე

ჩატარდა ოზურგეთის სასპორტო სკოლის ღია პირველობა ჭიდაობა ძიუდოში, 1996-98 წლებში დაბადებულთა შორის, სადაც მოწვეული იყვნენ ლანჩხუთის და ჩოხატაურის სასპორტო სკოლების გუნდები.

წონითი კატეგორიების მიხედვით გამოვლინდნენ ჩემპიონები და პრიზიორები, რომელებსაც გადაეცათ შესაბამისი დიპლომები.

I ადგილზე გამოვიდნენ:

30 კგ. ნიკა ცისკარიძე (ოზურგეთი, მწ. გოჩა ბურჭულაძე);
35 კგ. გოდერძი ქათამიძე (ოზურგეთი, მწ. დავით ჩიკაშუა);
40 კგ. გიორგი მეგრელიშვილი (ოზურგეთი, მწ. დიტო ტუღუში);
45 კგ. მიხეილ თაბაგარი (ლანჩხუთი, მწ.გოგა კალანდარიშვილი);
50 კგ. მამუკა ვასაძე (ჩოხატაური, მწ. დავით ჩიკაშუა);
55 კგ. თორნიკე ჟღენტი (ჩოხატაური, მწ. დავით ჩიკაშუა);
60 კგ. თენგო ბერიძე, (ოზურგეთი, მწ. გოჩა ბურჭულაძე);
66 კგ. იმედო გუდავაძე (ჩოხატაური, მწ. დავით ჩიკაშუა);
73 კგ. ბექა დოლიძე (ოზურგეთი, მწ. დავით ჩიკაშუა).

ჯამბულ ბოლქვაძის ტურნირზე

ხულოში ჩატარდა ჯამბულ ბოლქვაძის სახელობის მემორიალური ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 1998-2000 წლებში დაბადებულთა შორის. ტურნირში ქალაქების და რაიონების 12 გუნდი მონაწილეობდა, 150 სპორტსმენი. აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობდა ოზურგეთის სპორტსკოლის შემოქმედის ფილიალის მოჭიდავეები (მწვრთნელები დავით მელუა, ირაკლი და ზურაბ ზურაბიანები).

26 კგ. წონით კატეგორიაში პირველი ადგილი გიორგი თოხაძემ დაიკავა: 23 კგ-ში II იყო საბა ცისკარიძე; 23, 59, 66 კგ. წონით კატეგორიებში III ადგილებზე გავიდნენ რევაზ გიორგაძე, ვალერი აფციაური, ზურაბ ზურაბიანი.

ომარ ბიჭიკაშვილი



62 წლის ასაკში გარდაიცვალა ოზურგეთის საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი პიროვნება და ღირსეული მოქალაქე ომარ ბიჭიკაშვილი.

იგი დაიბადა სოფ. ნაგომარში. საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის აგრონომიულ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ განაწილებული იქნა ქ. სოჭის, დაგომისის აგროსამრეწველო კომბინატში. აქ, როგორც კვალიფიციურმა სპეციალისტმა და ერუდირებულმა პიროვნებამ მალე მოიპოვა ავტორიტეტი, რასაც სამსახურებრივი დაწინაურება და ქ. სოჭის საქალაქო საბჭოს დეპუტატად არჩევა მოჰყვა. განაწილებით სავალდებულო სამუშაო ვადის გასვლის შემდეგ, მან მშობლიურ რაიონში დაბრუნება და დაოჯახება არჩია. მისი მაღალი ზნეობრივი და პროფესიონალური თვისებები შეუმჩნეველი არ დარჩენია რაიონის მაშინდელ ხელმძღვანელობას და იგი 1980 წლიდან საპასუხისმგებლო პარტიულ სამუშაოზეა: ჯერ აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის მრავალრიცხოვან კოლექტივში, შემდეგ ნარუჯის ჩაის მეურნეობაში პარტიული კომიტეტის მდივანია, ხოლო 1987 წლიდან რაიკომის სოფლის მეურნეობის განყოფილებას ხელმძღვანელობდა და ბოლომდე მუშაობდა. მისი წარმატებული და ნაყოფიერი მუშაობა რამდენიმე მედლით აღინიშნა. არჩეული იყო ოზურგეთის რაიონული საბჭოს დეპუტატად.

90-იან წლებში ეწევა სხვადასხვა საქმიანობას, ჯერ ოზურგეთში, შემდეგ ბოლნისის რაიონში, სადაც მსხვილ სასოფლო კოოპერატივს ხელმძღვანელობდა. რამდენიმე წლის წარმატებული საქმიანობა ამ რეგიონში განვითარებულ ცნობილ მოვლენებს და კლიმატურ სტიქიებს შეეწირა. წარმოშობილმა ეკონომიურმა პრობლემებმა მის ჯანმრთელობაზეც იმოქმედა. მიუხედავად ამისა, ის ბოლომდე შრომობდა და იბრძოდა ოჯახის ფეხზე მყარად დადგომისათვის.

ბატონი ომარი გატაცებული იყო ჭადრაკით. მას დიდი ღვაწლი აქვს შეტანილი რაიონში ჭადრაკის განვითარებისათვის. წლების განმავლობაში სერიოზულ ფინასურ და მატერიალურ დახმარებას უწევდა საჭადრაკო კლუბს. არჩეული იყო ოზურგეთის ჭადრაკის ფედერაციის პირველ პრეზიდენტად. იყო გაზეთ „საჭადრაკო მოამბის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და რედკოლეგიის წევრი. ფლობდა I თანრიგს ჭადრაკში. სიცოცხლის ბოლომდე აქტიურად და წარმატებით მონაწილეობდა რაიონულ ჩემპიონატებსა და ტურნირებში, რომლებში არაერთხელ გამოსულა გამარჯვებული და პრიზიორი. მისი ბოლო მონაპოვარი „26 მაისის“ თასი იყო, რომელიც თავის შვილიშვილების სიყვარულს მიუძღვნა.

ომარ ბიჭიკაშვილი იყო მაღალი ზნეობრივი, კაცური, პატრიოტული სულისკვეთების ადამიანი, კარგი მეუღლე, მამა და ბაბუა, კარგი მეგობარი და მოქალაქე, რომლის სახელი მუდამ დაუვიწყარი იქნება.

გურიის ჭადრაკის ფედერაცია, მეგობრები.

გენო ჭილიფთარი



დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც დაგვტოვე. პირველ რიგში დატოვე შენი ლამაზი ოჯახი, შვილები, შვილიშვილები. სამწუხაროდ, მე ავადმყოფობის გამო ვერ დავესწარი შენი გამოთხოვების დღეს, რათა ორიოდე სიტყვა მეთქვა შენთვის, შენი კაცობისთვის. ჩვენ ხომ დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებდა, ერთად დავამთავრეთ არასრული საშუალო სკოლა. შემდეგ კი ჩვენი გზები დროებით გაიყარა. სხვადასხვა განათლება მივიღეთ და მუშაობის სფეროც სხვადასხვა გვქონდა, მაგრამ მეგობრობისთვის არ გვიღალატია, ოჯახებით ვმეგობრობდით ერთმანეთს.

როცა ცხოვრება გიჭირდა, ჭირსა და ლხინში ყველას ედექი და ეხმარებოდი შესაძლებისამებრ. ამიტომაც გაფასებდნენ და სათანადო ავტორიტეტი გქონდა სოფელში.

ჩემო გენო! შენი სახელი, როგორც კაცური კაცის, დიდხანს დარჩება, როგორც ოჯახის, ისე შენი მეგობრების, მეზობლებისადა ახლობლების გულში.

ამირან მამულაიშვილი.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია იუწყება გაზეთის ყოფილი თანამშრომლის, ჟურნალისტ **ზაირა ბილიხოძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

იყიდება

4 თვალი წაბლის ოდა-სახლი. (დასაშლელი, სხვა ადგილზე დასადგმელად).
მის. ქ. ოზურგეთი, სახოკიას ქ. №15
დაგვიკავშირდით: (599) 22 62 90

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru